საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კორკელია კონსტანტინე გივის ძე

კორკელია კონსტანტინე გივის ძე (დ. 11. IV. 1974, თბილისი), იურისტი. იურიდიულ მეცნ. დოქტორი, პროფესორი (2004).

1997 დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი. 2003 – ამავე უნ-ტის საერთაშ. სამართ. და საერთაშ. ურთიერთობების ფაკ-ტი; 1999–2000 სწავლობდა ლეიდენის (ნიდერლანდები) უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე (მიენიჭა სამართლის მაგისტრის ხარისხი).

1995–2000 მუშაობდა საქართვ. საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2000– 02 იყოსაქართვ. წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში; 2005 – ეროვნ. უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე; 2005–07 – იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე; 2007–13 –საქართვ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩილატვიის რესპუბლიკაში; 2013–17 – საქართვ. მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში; 2002–05 – საქართვ. მეცნ. აკად. სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის დირექტორის მოადგილე; 2005–06 იმავე ინ-ტის საერთაშ. და ევრ. სამართლის განყ-ბის უფროსი; 2005–09 – თსუ-ის აკად. საბჭოს წევრი. არის თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტის საერთაშ. სამართლის მიმართულების პროფესორი.

კ. არის სამეცნ. ნაშრომებისა და სტატიების ავტორი.

თხზ.: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ., 2004.

ი. უჯმაჯურიძე